ხელშეკრულება

ქ. ლანჩხუთი " 4 " " თებერვალი " 2009 წელი

ს.ს. საქართველოს ბანკი (შემდგომში **ბანკი**) მისი №153 სერვის ცენტრის **მენეჯერის ბ-ნ რევაზ ჩიტიძის** სახით, ერთის მხრივ და **"სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმზრდელო ცენტრი"** (შემდგომში **ორგანიზაცია**) მისი **დირექტორის ქ-ნ ლია ურუშაძი** სახით, მეორეს მხრივ, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

I. ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულების მიზნებისთვის ამ მუხლში მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტებები:

1.1. **ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული საერთაშორისო პლასტიკური ბარათი (Visa ან MasterCard), რომლის საშუალებითაც **ბარათის** მფლობელი **ორგანიზაციისგან** იღებს კუთვნილ თანხებს, **ბანკსა** და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა Visa International-სა და MasterCard International-თან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი სალიცენზიო პირობების და ასევე, ბანკში მოქმედი Visa და MasterCard საერთაშორისო ბარათების გამოყენების წესების შესაბამისად;

1.2. **ანგარიში** – მულტისავალუტო ანგარიში, რომელსაც **ბანკი** უხსნის **ორგანიზაციის** მიერ მითითებულ თანამშრომლებს ხელფასის ან/და სხვა კუთვნილი თანხების ჩასარიცხად;

1.3. **თანამშრომელი** – ფიზიკური პირი, რომელსაც შრომითი ურთიერთობა გააჩნია **ორგანიზაციასთან**;

1.4. **ინტერნეტ ბანკი** - პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც **ორგანიზაციას** საშუალებას აძლევს ინტერნეტის საშუალებით დაათვალიეროს საკუთარი ანგარიშები და მისცეს **ბანკს** დავალება ამ ანგარიშებზე სხვადასხვა საბანკო ოპერაციების შესასრულებლად. **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით საბანკო ანგარიშების მომსახურების შესახებ იდება ცალკე დამოუკიდებელი ხელშეკრულება;

1.5. **მხარე - ბანკი** ან **ორგანიზაცია**;

1.6. **მხარეები - ბანკი** და **ორგანიზაცია** ერთდროულად.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე **ბანკი ორგანიზაციას** უზრუნველყოფს სახელფასო პროგრამით, რომლის ძალითაც **ბანკი** განახორციელებს დანართ №1-ში გათვალისწინებული ტიპის **ბარათების** ემისიასა და შესაბამისი **ანგარიშების** გახსნას **თანამშრომლებისთვის**, ხოლო **ორგანიზაცია** თავის მხრივ უზრუნველყოფს დანართ №2-ში გათვალისწინებული ფორმით **ბანკისთვის** მიწოდებულ სიაში დაფიქსირებულ **თანამშრომლებისთვის** კუთვნილი ხელფასის ჩარიცხვას **ხელშეკრულებისა** და სათანადო განაცხადის საფუძველზე **ბანკში** გახსნილ შესაბამის **ანგარიშებზე**.

III. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. **ბანკი უფლებამოსილია:**

3.1.1. **ორგანიზაციას** მოსთხოვოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.1.2. სრულად ან ნაწილობრივ არ შეასრულოს ხელფასების ჩარისცხვასთან დაკავშირებული **ორგანიზაციის** დავალება, **თანამშრომლებისთვის** ხელფასების ჩარიცხვასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების სრულად შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის **ბანკში** წარუდგენლობის შემთხვევაში. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც **თანამშრომლებისთვის** ხელფასების ჩარიცხვასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების სრულად შესრულება ხორციელდება **ბანკის** მეშვეობით;

3.1.3. უკანონოდ ჩატარებული ოპერაციების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, უპირობოდ და ცალმხრივად შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება, რაც არ ჩაითვლება **ბანკის** მხრიდან რაიმე ვალდებულების დარღვევად;

3.1.4. ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე უარი თქვას დანართ №2-ში გათვალისწინებული ფორმით **ბანკისთვის** მიწოდებულ სიაში დაფიქსირებულ **თანამშრომლ(ებ)ისთვის ბარათ(ებ)ის** ემიტირებაზე და შესაბამისი **ანგარიშ(ებ)ის** გახსნაზე;

3.1.5. დანართ №3-ში მითითებული ფორმით **ბანკისთვის** მიწოდებულ სახელფასო უწყისში **თანამშრომლ(ებ)ის** გვარში და/ან სახელში შეცდომის და/ან უზუსტობის შემთხვევაში, ხელფასების ჩარიცხვასთან დაკავშირებული დავალების შესრულებისას, უპირატესობა მიანიჭოს **თანამშრომლ(ებ)ის** ანგარიშის ნომერს;

3.2. **ბანკი ვალდებულია:**

3.2.1. **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **ბარათ(ებ)ის** ემიტირება და შესაბამისი **ანგარიშ(ებ)ის** გახსნა აწარმოოს **ორგანიზაციის** მიერ დანართ №2-ში გათვალისწინებული ფორმით **ბანკისთვის** მიწოდებული სიის და **ბანკში** მოქმედი წესების შესაბამისად;

3.2.2. საბანკო დღის 17:00 საათამდე **ორგანიზაციიდან** მიღებული დავალება, **თანამშრომლებისთვის** ხელფასების ჩარიცხვის შესახებ, შეასრულოს იმავე საბანკო დღეს, ხოლო საბანკო დღის 17:00 საათის შემდეგ მიღებული დავალება შეასრულოს მომდევნო საბანკო დღეს;

3.3. **ორგანიზაცია უფლებამოსილია:**

3.3.1. **ბანკს** მოსთხოვოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.3.2. დანართ №2-ში გათვალისწინებული ფორმით **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოითხოვოს ახალი **ბარათის** და/ან შესაბამისი **ანგარიშების** გახსნა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული მოქმედება **ორგანიზაციამ** შეიძლება განახორციელოს **თანამშრომლ(ებ)ისთვის** ხელფასების ჩარიცხვამდე 3 (სამ) საბანკო დღით ადრე;

3.3.3. წერილობითი მიმართვის **ბანკში** წარდგენის საფუძველზე მოითხოვოს **ბარათ(ებ)ის** ბლოკირება, სასურველ თარიღამდე 1 (ერთი) საბანკო დღით ადრე;

ბა ბა

3.4. **ორგანიზაცია ვალდებულია:**

3.4.1. **ხელშეკრულების** ხელმოწერიდან 3 (სამი) დღის ვადაში, ელექტრონული ფორმით და **ორგანიზაციის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული იდენტური ამობეჭდილი ვარიანტი, **ბანკს** სრულად გადასცეს დანართ №2-ში გათვალისწინებული ფორმით **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაცია;

3.4.2. **თანამშრომლ(ებ)ისთვის** ხელფასის ჩარიცხვასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები შეასრულოს სრულად და აღნიშნული საგადასახადო ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი წარუდგინოს **ბანკს;**

3.4.3. დანართ №3-ში მითითებული ფორმით სახელფასო უწყისის ელექტრონული და ფურცლის ვერსიების **ბანკისთვის** გადაცემის გზით, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ინტერნეტ ბანკს** (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად **ინტერნეტ ბანკის** შემთხვევაში არ მოითხოვება სახელფასო უწყისის ფურცლის ვერსია), **ბანკს** მისცეს **თანამშრომლებისთვის** ხელფასების ჩარიცხვასთან დაკავშირებული დავალება;

3.4.4. **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **თანამშრომლებისთვის** ხელფასის ჩარიცხვა აწარმოოს მხოლოდ **ხელშეკრულებისა** და **ბანკში** დადგენილი წესების შესაბამისად **ბანკში** გახსნილ **ანგარიშზე;**

3.4.5. **ხელშეკრულების** ხელმოწერიდან 3 (სამი) დღის ვადაში, დანართ №4-ში გათვალისწინებული ფორმით, **ბანკს** აცნობოს **ორგანიზაციის** იმ **თანამშრომლ(ებ)ის** ვინაობა (გასცეს მინდობილობა), რომელიც უფლებამოსილი იქნება **ორგანიზაციის** სახელით ურთიერთობა იქონიოს **ბანკთან**, კერძოდ, დანართ №5-ში გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე **ორგანიზაციის** სახელით **ბანკისგან** მიიღოს ემიტირებული **ბარათ(ებ)ი,** შესაბამისი დალუქული PIN და CIC კოდები, აგრეთვე **თანამშრომლ(ებ)ისთვის ბანკის** მიერ გადასაცემი სხვა დოკუმენტები, ინფორმაცია თუ საბანკო პროდუქტები. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ პუნქტის საფუძველზე გაცემული მინდობილობა ძალაშია, დანართ №6-ში გათვალისწინებული ფორმით, გაუქმების შესახებ ინფორმაციის **ბანკისთვის** მიწოდებამდე;

3.4.6. **ხელშეკრულების** საფუძველზე მიღებული **ბარათები**, შესაბამისი დალუქული PIN და CIC კოდები, აგრეთვე **თანამშრომლ(ებ)ისთვის ბანკის** მიერ გადასაცემი სხვა დოკუმენტები თუ საბანკო პროდუქტები სრულყოფილად გადასცეს შესაბამის **თანამშრომელს**. წინააღმდეგ შემთხვევაში, **თანამშრომლ(ებ)ის** ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ პუნქტში ჩამოთვლილი ნივთების **თანამშრომლ(ებ)ისთვის** ჩაუბარებლობასთან და/ან არაჯეროვნად ჩაბარებასთან, პასუხისმგებელია **ორგანიზაცია;**

3.4.7. **ხელშეკრულების** ხელმოწერიდან 3 (სამი) დღის ვადაში, დანართ №7-ში გათვალისწინებული ფორმით, **ბანკს** აცნობოს **ორგანიზაციის** იმ **თანამშრომლ(ებ)ის** ვინაობა (გასცეს მინდობილობა), რომელიც უფლებამოსილი იქნება **ორგანიზაციის** სახელით ხელი მოაწეროს დანართ №2-ში გათვალისწინებული ფორმით **ბანკისთვის** მისაწოდებელ სიას (მასში შესული დამატებების ჩათვლით) და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო ბარათის და ოვერდრაფტის შესახებ დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული **ორგანიზაციის** სახელით **ბანკისთვის** მისაწოდებელ **თანამშრომლ(ებ)ის** სიებს (მასში შესული დამატებების ჩათვლით). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ პუნქტის საფუძველზე გაცემული მინდობილობა ძალაშია, დანართ №6-ში გათვალისწინებული ფორმით, გაუქმების შესახებ ინფორმაციის **ბანკისთვის** მიწოდებამდე;

3.4.8. უზრუნველყოს **თანამშრომლებისთვის** დანართ №8-ში გათვალისწინებული **ბარათის** პირობების სრულყოფილად გაცნობა (**ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში შესული ცვლილებების ჩათვლით) და დანართ №9-ში გათვალისწინებული განაცხადის თითოეული **თანამშრომლის** მიერ სრულყოფილად შევსება, ხელმოწერა და **ბანკისთვის,** დანართ №5-ში გათვალისწინებული ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით, გადაცემა. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება **ორგანიზაციამ** უნდა შეასრულოს, დანართ №5-ში გათვალისწინებული ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით, **ბანკიდან ბარათების** მიღებიდან 1 (ერთი) კვირის განმავლობაში. წინამდებარე პუნქტის დარღვევის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში **ორგანიზაციას** ეკისრება სრული პასუხისმგებლობა **თანამშრომლ(ებ)ის** მიერ **ბანკისთვის** წაყენებულ ყველა პრეტენზიაზე.

IV. პასუხისმგებლობა

4.1. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, **მხარეები** პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული **მხარე**, ვალდებულია მეორე **მხარეს** აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

4.2. **ბანკი** პასუხს არ აგებს **ორგანიზაციის** და/ან **თანამშრომლის** მიერ საბარათე ანგარიშზე წარმოებულ უკანონო ოპერაციებზე;

4.3. პასუხისმგებლობა **ბარათით** წარმოებულ ოპერაციებზე სრულად ეკისრება ბარათის მფლობელს;

4.4. **ორგანიზაცია** პასუხისმგებელია მის მიერ **ბანკისათვის** მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციისა და დოკუმენტის უტყუარობასა და სიზუსტეზე;

4.5. **ბანკი** პასუხს არ აგებს **ორგანიზაციის** მიერ დანართ №3-ში მითითებული ფორმით სახელფასო უწყისების ელექტრონულ და ფურცლის ვერსიებს შორის არსებულ სხვაობაზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ სახელფასო უწყისების ელექტრონული და ფურცლის ვერსიების ჯამები ემთხვევა ერთმანეთს ბანკი ელექტრონული ვერსიის საფუძველზე მოახდენს **თანამშრომლებისთვის** ხელფასების ჩარიცხვასთან დაკავშირებული დავალების შესრულებას;

4.6. არასწორი ინფორმაციის საფუძველზე დამზადებული **ბარათის** გაუქმების შემთხვევაში ხელახალი დამზადების ხარჯის გადახდა, იმ პერიოდისთვის **ბანკში** მოქმედი ტარიფებით, ეკისრება **ორგანიზაციას;**

ბ.ა. ბ.ა.

4.7. **ბანკი** პასუხს არ აგებს **ორგანიზაციის** წინაშე, თუ **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ მოხდა **ბარათის** განაღდება **ბანკის** სისტემის გარეთ არსებულ მომსახურების წერტილებში;

4.8. **ბანკი** პასუხისმგებელია:

4.8.1. დროულად შეასრულოს **ბარათის** დამზადებაზე აღებული ვალდებულება;

4.8.2. **ორგანიზაციის** მიერ ხელფასების ჩარისხვასთან დაკავშირებული დავალების დროულ (**ხელშეკრულებაში** გათვალისწინებული ვადების მიხედვით) შესრულებაზე;

4.8.3. **ბანკის** სისტემაში არსებული მომსახურების წერტილებში საბარათე ოპერაციების დაუბრკოლებლად განხორციელებაზე.

V. მოქმედების ვადა

5.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ მისი წერილობითი ფორმით შეწყვეტამდე;

5.2. **ხელშეკრულების** შეწყვეტა **მხარეებს** არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებებისგან;

5.3. **მხარეები** უფლებამოსილნი არიან მოშალონ **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს **ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან 6 (ექვსი) თვის გასვლის შემდეგ იმ პირობით, რომ მოშლის თარიღამდე 90 (ოთხმოცდაათი) საბანკო დღით ადრე წერილობით გააფრთხილებენ ამის შესახებ მეორე **მხარეს**.

VI. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1. **მხარეები** აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

6.1.1. ჩამოყალიბებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

6.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ **ხელშეკრულებას**;

6.1.3. **ხელშეკრულების** ხელმოწერა და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

VII. ფორს-მაჟორი

7.1. **მხარეები** თავისუფლდებიან **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით;

7.2. **მხარეები** ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

VIII. კონფიდენციალობა

8.1. **ხელშეკრულების** თითოეული **მხარე** იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ინფორმაცია მეორე **მხარის** წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

IX. დავების გადაწყვეტა

9.1. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. **მხარეები** მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე;

9.3. **მხარის** პრეტენზია, მეორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობით ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;

9.4. იმ შემთხვევაში, თუ **მხარეები** ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

X. დასკვნითი დებულებები

10.1. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

10.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულების** მიზანი;

10.3. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული **მხარის** მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან;

10.4. **ხელშეკრულების** დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, დანართ(ებ)ში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული **მხარის** მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

XI. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

11.1. **ს.ს. "საქართველოს ბანკი"**

ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: 220101502

ბა.

11.2. **"სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი"**

ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: 220101502

ბა.

ა/ა: 500168402

ა/ა: 266359500

XII. მხარეთა ხელმოწერები

12.1. **ს.ს. "საქართველოს ბანკი"**

საქართველო, ლანჩხუთი
ჟორდანიას ქ. №101

/_____/

რევაზ ჩიტიძე
153/სც მენეჯერი

12.2. **"სკოლამდელი საგანმანათლებლო საალმზრდელო ცენტრი"**

საქართველო, ლანჩხუთი,
კოსტავას ქ. №37

/_____/

ლია ურუშაძე
დირექტორი

/_____/ ბ.ა.

/_____/ ბ.ა.

დანართი №1

ბარათების ტიპები

A	***Visa Electron***	დამზადების ღირებულება – უფასო მოქმედების ვადა – 2 (ორი) წელი
B	***Cirrus Maestro***	დამზადების ღირებულება – უფასო მოქმედების ვადა – 2 (ორი) წელი
C	***Visa Classic***	დამზადების ღირებულება – 50.00 (ორმოცდაათი) ლარი მოქმედების ვადა – 2 (ორი) წელი
D	***Mastercard Standard***	დამზადების ღირებულება – 50.00 (ორმოცდაათი) ლარი მოქმედების ვადა – 2 (ორი) წელი
E	***Visa Gold***	დამზადების ღირებულება – 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარი მოქმედების ვადა – 2 (ორი) წელი
F	***Mastercard Gold***	დამზადების ღირებულება – 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარი მოქმედების ვადა – 2 (ორი) წელი

მომსახურების ყოველთვიური საკომისიო ყველა ტიპის ბარათისთვის	0 ლარი
განაღდების საკომისიო ბანკის ფილიალებში ყველა ტიპის ბარათისთვის	0.6% მინ. 0.50 (ნოლი მთელი ორმოცდაათი) ლარი
განაღდების საკომისიო ბანკის ბანკომატებში ყველა ტიპის ბარათისთვის	0 ლარი

შენიშვნა: 1. დამზადების ღირებულება ყველა ტიპის ბარათისთვის უაქცეპტოდ ჩამოიწერება ბარათის მფლობელის ანგარიშიდან;
2. მომსახურების და განაღდების საკომისიოები ყველა ტიპის ბარათისთვის უაქცეპტოდ ჩამოიწერება ბარათის მფლობელის ანგარიშიდან;
3. წინამდებარე დანართში მოცემული განაღდების საკომისიოები მოქმედებს მხოლოდ ორგანიზაციის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ჩარიცხულ თანხებზე, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ბანკში მოქმედი სტანდარტული საკომისიოები.
4. დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენის საფასური უაქცეპტოდ ჩამოიწერება ბარათის მფლობელის ანგარიშიდან

ორგანიზაციის წარმომადგენელი

დირექტორი
ლია ურუშაძე